ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01192471362**
თარიღი: **04/09/2019**
პინი: **5870**

ადრესატი: შპს სითი რეალ ისთეით
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406067410
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამსახურდიას გამზ., №30

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01191653057-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, პეკინის გამზ. N30-ში (საკ. კოდი N01.10.14.030.020) 16.10.2018 წლის N4218685 (AR1628989) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^{1}-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

ფასადებზე მოაჯირების სიმაღლე ნაწილობრივ გაზრდილია. ვიტრაჟების გაბარიტები ნაწილობრივ შეცვლილია. „მ-ა“ ფასადზე +42.00 ნიშნულზე „ბ“ ღერძთან დამატებულია ვიტრაჟი.

მონოლითური კედლები სრულად არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით, ნაწილი მონოლითური კედლების ნაცვლად მოწყობილია შემავსებელი ბლოკის კედლები. -3.45 და +0.00 ნიშნულებზე გაუქმებულია კიბის უჯრედებთან მდებარე ტამბურები. ამავე ნიშნულებზე ფიქსირდება საკომუნიკაციო მილებისთვის განკუთვნილი მცირე ზომის ღიობები. კიბის უჯრედებში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების და პილონების კვეთი, გაზრდილია მათი რაოდენობა. რიგელების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება პროექტში ასახულს. „ე-4“ ღერძების კვეთაზე კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. „4“ ღერძის გასწვრივ კონსტრუქციებს შორის ფიქსირდება სეისმური ნაკერი. „ბ-გ“ მონაკვეთში „3“ ღერძის გასწვრივ მდებარე ლიფტის შახტებზე გაზრდილია კარებისთვის განკუთვნილი ღიობების გაბარიტები. +0.00 და +4.50 ნიშნულებზე „ა-გ“ მონაკვეთში „1“ ღერძის გარეთ შეცვლილია ფილის ფორმა, ასევე შეცვლილია „მ“ ღერძის გარეთ ფილის კონტური. +9 ნიშნულზე და მის ზევით „ბ-3“ ღერძების კვეთზე მდებარე კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი.

-3.45 ნიშნული: შენობის პერიმეტრზე შეცვლილია მონოლითური კედლების ფორმები და ადგილმდებარეობა.

+38.70 ნიშნული: ტერასაზე მდებარე საკომუნიკაციო შახტების სიმაღლე გაზრდილია. „1“ ღერძზე „ლ-მ“ მონაკვეთში მდებარე აივნის ფორმა შეცვლილია და გაბარიტი გაზრდილია. ასევე შეცვლილია „ა-გ“ მონაკვთში „1“ ღერძზე მდებარე აივნის ფორმა.

52.00 ნიშნული: „ა-ე“ მონაკვეთში სახურავზე არ არის ნაჩვენები საკომუნიკაციო შახტები. კიბის უჯრედთან „4“ ღერძის გასწვრივ „გ-დ“ მონაკვეთში ფილის ფორმა შეცვლილია. გადახურვის ფილის პერიმეტრზე მოწყობილია დაბალი სარტყელი.

შენობის ორივე ბლოკის სახურავზე შეცვლილია სამანქანოების გაბარიტები, მათზე ღიობების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. სახურავებზე განთავსებულია აგრეგატები. სანამქანოების გადახურვის ფილის გაბარიტი გაზრდილია და ფასადებზე ფიქსირდება მათი კონტური.

„მ-ა“ ფასადი: +9.00 ნიშნულის ქვევით მდებარე ვიტრაჟების ნაწილის გაბარიტი შეცვლილია.

„8-1“ ფასადი: „5-4“ მონაკვეთში +35.40 ნიშნულზე, ხოლო „2“ ღერძზე ამავე ნიშნულზე და ასევე +38.70 ნიშნულზე აივნის ფილის შუბლები შემცირებულია.

„მ-ა“ ფასადი: აივნის შუბლია შემცირებული „ი-ზ“ მონაკვეთში +42.00 ნიშნულზე. „ბ“ ღერძის მიმდებარედ +48.60 ნიშნულის ზევით შეცვლილია კედლის ფორმა. ამავე ღერძთან +42.00 ნიშნულზე დამატებულია ვიტრაჟი.

შენობის ნაწილი ცდება საკადასტრო საზღვარს.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და

თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01192493250**
თარიღი: **06/09/2019**
პინი: **5289**

ადრესატი: შპს სითი რეალ ისთეით
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406067410
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზ., №30

გადააამოწმეთ: document.municipal.gov.ge

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 04.09.2019წ. გაცემულ იქნა N17-01192471362 სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ არასწორად დაფიქსირდა საკადასტრო საზღვრების დარღვევა. ინსპექციამ იმსჯელა ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გადაწყვიტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 04.09.2019წ. N N17-01192471362 სარეკომენდაციო წერილში და წერილიდან ამოღებულ იქნას დარღვევა „შენობის ნაწილი ცდება საკადასტრო საზღვარს“.

წინამდებარე წერილი განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 4 სექტემბრის N17-01192471362 სარეკომენდაციო წერილთან ერთად.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-093 *405026877*

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი